



სოლიდარობის ფონდის საქმიანობის

III პერიოდული ანგარიში

2014 წლის 30 ნოემბერი

ქალბატონებო და ბატონებო,

პატივი გვაქვს წარმოგიდგინოთ სოლიდარობის ფონდის მესამე პერიოდული ანგარიში 2014 წლის 1 ივლისიდან 30 ნოემბრის ჩათვლით მობილიზებული რესურსებისა და ფონდის მიერ მხარდაჭერილი ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის სოლიდარობის ფონდში მონაწილეობის სურვილი დაადასტურა ქვეყნის მასშტაბით მოქმედი 167 საჯარო სამსახურის 35,000-ზე მეტმა თანამშრომელმა, ათასობით მოქალაქემ და ათობით კერძო კომპანიამ. შედეგად, ფონდში სისტემურად, ყოველთვიურად მობილიზებული თანხა 2014 წლის ივლისთან შედარებით 8-ჯერ გაიზარდა და დღეისათვის 240,000 ლარს შეადგენს.

30 ნოემბრის მონაცემებით სოლიდარობის ფონდში საერთო ჯამში 1 331 172 ლარი იქნა ჩარიცხული, რომლის ფარგლებშიც 913 000 ლარის ფინანსური მხარდაჭერა უკვე დამტკიცებულია 37 ბავშვისა და ახალგაზრდის დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის.

თქვენი მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა

- 21 წლის ასაკის ჩათვლით ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის ფინანსური პრობლემის გადაჭრა ქვეყნის მასშტაბით და დღეისათვის 37 ბავშვისა და ახალგაზრდის დაფინანსება 913 000 ლარით. თქვენი დახმარებით 24 პაციენტის დიაგნოსტიკა და მკურნალობა საქართველოში დაფინანსდა, ხოლო 13 - გერმანიის, იტალიის, თურქეთისა და საფრანგეთის კლინიკებში.
- კერძო სექტორის მზარდი ჩართულობისათვის მნიშვნელოვანი საფუძვლების შექმნა. საჯარო მოხელეების მიერ სოლიდარობის ფონდისათვის შექმნილი პლატფორმის გარშემო უკვე შემოგვიერთდნენ:
 - „ლიბერთი“ ბანკი
 - „საქართველოს ბანკი“
 - კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
 - კომპანია „ისტერნ პრომოუშენი“
 - „რაკია ჯგუფის“ 3 კომპანია „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი“, „რაკინ დეველოპმენტი“, „რაკინ აფთაუნ დეველოპმენტი“
 - „პრივატ ბანკი“
 - კომპანია „ყაზტრანსგაზი“
 - სამედიცინო ცენტრი „ლანცეტი“

ასევე ერთიანი ძალისხმევით 2015 წლის გაზაფხულიდან სოლიდარობის ფონდი

ეტაპობრივად შესძლებს პროგრამების გაფართოვებას შეზღუდული შესაძლებლობებისა და იშვიათი დაავადებების მქონე ბავშვებისათვის.

თუმცა პროგრამების გასაფართოვებლად დღეისათვის ფიქსირებული ყოველთვიური დონაციები 240,000 ლარიდან სულ მცირე 450,000

ლარამდე უნდა გაიზარდოს.

ამდენად უმნიშვნელოვანესია კიდევ უფრო მეტი ჩართულობა როგორც საჯარო ასევე კერძო სექტორის მხრიდან.

დღეისათვის განხილული და დაფინანსებული განცხადებები

- 2014 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით საქართველოს სოლიდარობის ფონდის მუდმივმოქმედა კომისიამ 7 სხდომა გამართა, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა 54 პაციენტის განცხადება. სოლიდარობის ფონდის მუდმივმოქმედი კომისიის წევრები წარმოდგენილი არიან სახელმწიფო სტრუქტურების (მთავრობის ადმინისტრაციის, ჯანდაცვის, ფინანსთა, კულტურის სამინისტროებისა და ქალაქ თბილისის მერიის), კერძო სექტორის, საერთაშორისო (გაეროს, მსოფლიო ბანკისა და აშშ საელჩოს წარმომადგენლები) და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან.
- ფონდის კომისიის მიერ განხილული 54 განცხადებიდან 4 აპლიკაცია იყო პროფილური - ანუ 21 წლის ასაკის ჩათვლით ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებისა და მათი ოჯახების მიერ წარმოდგენილი. 41 პროფილური განცხადებიდან 37 განცხადება კომისიამ დაამტკიცა, ხოლო 4 აპლიკაციაზე მიიღო პრინციპულად დადებითი გადაწყვეტილება. აღნიშნულ 4 განცხადებაზე წარმოსადგენია დამატებითი ინფორმაცია, რის შემდგომაც კომისია თითოეული პაციენტის დასახმარებლად საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს.
- საერთო ჯამში განხილული 54 განცხადებიდან არ დაკმაყოფილდა 13 აპლიკაცია, რამდენადაც არ შეესაბამებოდა ფონდის მიერ განცხადებულ დიაგნოსტიკურ და ასაკობრივ კრიტერიუმებს.
- ფონდმა 37 პაციენტიდან 24 ბავშვისა და ახალგაზრდის დიაგნოსტიკა და მკურნალობა საქართველოში დააფინანსდა (ქიმიო-თერაპია, ონკო-ქირურგია და მაღალ-ტექნოლოგიური კვლევები). 13 ბავშვი და ახალგაზრდა კი დაფინანსდა გერმანიის, თურქეთის, იტალიისა და საფრანგეთის კლინიკებში ისეთი სამედიცინო მომსახურების მისაღებად, რაც საქართველოში დღეისათვის ვერ ტარდება (ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია, მცირე-წლოვან ასაკში სხივური თერაპია და ქირურგიული ოპერაციები ძვლის სიმსივნეების შემთხვევაში). ცხრილის სახით წარმოგიდგენთ ფონდის მიერ დამტკიცებული 37 ბენეფიციარის ასაკობრივ და დიაგნოსტიკურ პარამეტრებს ფონდის მიერ დამტკიცებული თანხების დეტალურ ანგარიშთან ერთად.

	პაციენტის მონაცემები		დიაგნოზი ფორმა #100-ის მიხედვით	მკურნალობის საერთო ღირებულება	ფონდიდან მოთხოვნილი და დაფინანსებული თანხა
	ასაკი	სოც. სტატუსი (შშმ ან სხვა)			
საზღვარგარეთ დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მიზნით დაფინანსებული აპლიკაციები					
1	3 წლის		თავის ტვინის სიმსივნის პოსტ-ოპერაციული სხივური თერაპია	18 000 ევრო	14 000 ევრო (თურქეთი)
2	3 წლის		ქორიოიდალური გარსის (თვალის გარსის) ავთვისებიანი სიმსივნე (რეტინობლასტომა ან ჰამარტომა) ბადურის მეორადი ჩამოშლით. თანადაფინანსება დიაგნოსტიკასა და ქირურგიული ჩარევაზე, რომელიც საქართველოში ვერ ტარდება. პაციენტის ისტორია ცნობილი გახდა რუსთავი 2 „კურიერის“ განცხადებიდან	27,250 აშშ დოლარი	17,250 აშშ დოლარი (თურქეთი)
3	4 წლის		თავის ტვინის სიმსივნე (ეპენდიმომა II), პოსტ-ოპერაციული სხივური თერაპია	17 930 ევრო	9 930 ევრო (თურქეთი)
4	4 წლის		თანდაყოლილი ნეიტროპენია, აგრანულოციტოზი - ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია	100 000 აშშ დოლარი	80 000 აშშ დოლარი (თურქეთი), მიღებულია პრინციპული თანხმობა, ზუსტდება ჯანდაცვის სამინისტროს და მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება
5	4 წლის		იუნგის სარკომა (ძვლის ავთვისებიანი სიმსივნე) - თავდაპირველად მკურნალობას გადიოდა თურქეთში, დინამიკის შესაფასებლად დაფინანსდა დიაგნოსტიკური ინტერვენცია, რომელიც ვერ ტარდება საქართველოში	1 635 ევრო	1 635 ევრო (თურქეთი)
6	5 წლის	სოციალურად დაუცველი	ემბრიონალური რაბდომიოსარკომა - პაციენტი დავალიანების გამო ვეღარ იგრძელებდა მკურნალობას თურქეთის კლინიკაში, სადაც ბავშვს ჩაუტარა ღვიძლის ტრანსპლანტაცია და სადაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა დინამიკაში პაციენტის მდგომარეობის შეფასებასა და მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის განსაზღვრას	15 000 აშშ დოლარი	15 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
7	9 წლის		მკერდუკანა ჯირკვლის ქირურგიული ამოკვეთა (თიმექტომია) ოპერაციის შემდგომი თიმომის დიაგნოსტიკური გამოკვლევით მიასთენია გრავის შემდგომი მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით	18 000 ევრო	8 400 ევრო (გერმანია)
8	10 წლის	შშმ ბავშვი	მწვავე პრომიელოციტური ლეიკემია - პაციენტი იმყოფება იტალიაში ქალაქ ვერონის კლინიკაში, ემზადებოდა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციისათვის, თუმცა დონორის მოსაძიებლად დამატებითი თანხა გახდა საჭირო	85 000 ევრო	10 000 ევრო (იტალია)
9	11 წლის		მარჯვენა ბარძაყის ძვლის ლოკალიზაციის იუნგის სარკომა. ქირურგიული ოპერაცია - რეზიდუალური სიმსივნური მასის რეზექცია შემდგომი პროთეზირებით	20 000 ევრო	2 000 ევრო (საფრანგეთი), 2 200 ლარი ქიმიო-თერაპიისათვის (საქართველო)
10	14 წლის		იუნგის სარკომა - ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია, აუტოლოგიური	75 000 აშშ	54 743 აშშ დოლარი (თურქეთი) და 718 ლარი მგზავრობის ღირებულება
11	17 წლის		თავის ტვინის პრიმიტიული ნეიროექტოდერმული სიმსივნე (სხივური თერაპია)	5 000 ევრო	5 000 ევრო (თურქეთი)
12	18 წლის	სოციალურად დაუცველი	ჰოჯკინის ლიმფომა - III B სტადია - ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის წინა დიაგნოსტიკა და მკურნალობა	135 000 აშშ	35 000 აშშ დოლარი (თურქეთი)

13	20 წლის		მწვავე მიელოიდური ლეიკემია - რეციდივის გამო ესაჭიროებოდა დონორი ღეროვანი უჯრედების გადანერგვა საზღვარგარეთ	117 000 აშშ დოლარი	110 000 აშშ დოლარი (თი)
მკურნალობა საქართველოში (ქიმიოთერაპიის, ონკო-ქირურგიისა და მაღალტექნოლოგიური კვლევების თანადაფინანსება საყოველთაო ჯანდაცვის ლიმიტის ფარგლებს ზემოთ)					
14	1 წლის		ემბრიონალური რაბდომიოსარკომა - მარჯვენა მხრის მიდამოს რბილი ქსოვილების სარკომა	5 540 ლარი	3 863 ლარი
15	1 წლის		ნეირობლასტომა - სოლიდური სიმსივნე	570 ლარი	570 ლარი -
16	1 წლის		დაუზუსტებელი გენეზის პანკრეასის სიმსივნე	10 755 ლარი	2 149 ლარი
17	2 წლის		ყვითრის პარვის სიმსივნე - ტერატომა	2205 ლარი	2205 ლარი
18	2 წლის	შშმ ბავშვი	ნეირობლასტომა, მეოთხე სტადია	3 957 ლარი	642 ლარი
19	2 წლის		წინამდებარე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნე - ტერატომა	6 361 ლარი	5723 ლარი
20	3 წლის		თავის ტვინის ღეროს გლიომა - ვენტრიკოპერიტონეალური შუნტირება.	3,160 ლარი	316 ლარი
21	3 წლის	შშმ ბავშვი	ვილმისის სიმსივნე პულმონური მეტასტაზებით	1 718 ლარი	801 ლარი
22	4 წლის	შშმ ბავშვი, სოც. დაუცველი	შუასაყარის განგლიონეორობლასტომა	1 372 ლარი	1372 ლარი
23	4 წლის		მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია (მაღალტექნოლოგიური კვლევა)	180 ლარი	180 ლარი
24	5 წლის		თავის ტვინის ავთვისებიანი სიმსივნე, მედულობლასტომა	1600 ლარი	962 ლარი
25	6 წლის		ნეფრობლასტომა - თირკმლის ავთვისებიანი სიმსივნე	2 000 ლარი	2 000 ლარი
26	6 წლის		ალვეოლარული რაბდომიოსარკომა	3 039 ლარი	3 039 ლარი
27	6 წლის	შშმ ბავშვი	იუნგის სარკომა	4 530 ლარი	2 853 ლარი
28	7 წლის	შშმ ბავშვი	ემბრიონალური რაბდომიოსარკომა მარცხენა ყბაყურა ჯირკვლის პროექციაზე	1 372 ლარი	1 372 ლარი
29	9 წლის		რეტინობლასტომა - ქირურგიული ოპერაციის თანადაფინანსება (ენუკლეაცია პროტეზირებით)	2 563 ლარი	743 ლარი
30	11 წლის	შშმ ბავშვი	ნათხემის ჭიის და მე-4 პარკუჭის მიდამოს მედულობლასტომა	1 372 ლარი	1 372 ლარი
31	11 წლის		გულმკერდის კედლის ხონდროსარკომა გართულებული ქვედა პარაპარეზით II	1 372 ლარი	1 372 ლარი
32	14 წლის	შშმ ბავშვი	იუნგის სარკომა	1 372 ლარი	1 372 ლარი

33	15 წლის	შპს ბავშვი	მარჯვენა ბარძაყის ძვლის ოსტეოგენური სარკომა მეტასტაზებით ფილტვებში. IV st II კლ/ჯგ; პროგრესირება თავის ტვინის Mts დაზიანება	1 372 ლარი	1 372 ლარი
34	17 წლის		მარჯვენა ბარძაყის ძვლის ოსტეოგენური სარკომა, პროგრესირება, ფილტვების mts დაზიანება. IV სტადია	1 372 ლარი	1 372 ლარი
35	19 წლის	სოც. დაუცველი	მარჯვენა შუბლის მიდამოს კავერნომა, მეორადი ეპილეფსიური სინდრომით.	6 000 ლარი	2 574 ლარი
36	20 წლის		მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია	2 500 ლარი	1 250 ლარი
37	21 წლის		მარცხენა თხემის წილის ექსტრააქსიალური სიმსივნე, გლიობლასტომა IV	619 ლარი	123 ლარი

თითოეული ბავშვისა და მათი ოჯახების სახელით, რომელთა დახმარებაც სოლიდარობის ფონდმა თქვენი ხელშეწყობით უკვე შესძლო, უღრმეს მადლობას მოგახსენებთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თანადგომისათვის!

სახელმწიფო ჯანდაცვით პროგრამებთან და ადგილობრივი ხელისუფლების თანადაფინანსებასთან ერთად დღეისათვის სოლიდარობის ფონდში მობილიზებული თანხებით 21 წლის ასაკის ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების დაფინანსების პრობლემა საქართველოში პრაქტიკულად გადაჭრილია.

თუმცა აღნიშნული მიღწევის შენარჩუნებისა და სოლიდარობის ფონდის პროგრამების გაფართოებისათვის აუცილებელია საჯარო და კორპორატიული სექტორის თანამშრომელთა კიდევ უფრო მეტი ჩართულობა.

აქვე გთხოვთ თქვენს მხარდაჭერას აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებაში, რათა კიდევ უფრო მეტი კოლეგა ჩაგვეერთოს საჯარო სექტორიდან და ფონდმა 2015 წლის გაზაფხულიდან შესძლოს პროგრამების გაფართოება შეზღუდული შესაძლებლობებისა და იშვიათი დაავადებების მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის.

პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით,

საქართველოს სოლიდარობის ფონდის ადმინისტრაცია